ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი N3

დაბა ქედა 14 ივნისი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო 15:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 15:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი
რომან დავითაძე - კომისიის წევრი
ლევან ბერიძე - კომისიის წევრი
ოთარ ხარაძე - კომისიის წევრი
ირაკლი მახარაძე - კომისიის წევრი

სხდომას ასევე ესწრებოდა - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ფორმირების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - გიორგი მგზავრიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

14.06.2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
4	რომან დავითაძე	კომისიის წევრი	
5	ლევან ბერიძე	კომისიის წევრი	
6	ოთარ ხარაძე	კომისიის წევრი	
7	ირაკლი მახარაძე	კომისიის წევრი	

სხდომის დაწყების წინ, კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ კომისიის ზეპირი სხდომა განკარგულების ცნობის მიხედვით ჩანიშნულია 14 ივნის 16:00 საათზე, რა დროსაც უნდა ჩატარდეს საკრებულოს ბიუროს სხდომა. ამიტომ მიზანშეწონილად მიიჩნევს ზეპირი მოსმენის სხდომა ჩატარდეს 14 ივნისს 15:00 საათზე, აღნიშნულთან დაკავშრებით კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. „„ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 09 ივნისის №გ-95.95221601 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე და განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში განისაზღვრა 2022 წლის 13 ივნისი, დღის 18 საათამდე.

2022 წლის 13 ივნისს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში შემოვიდა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ის წინადადებები (წერილის ნომერი: 95-95221643), რომელიც ირაკლი მახარაძის განცხადებით მიზანშეწონილია ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს სამომავლოდ:

1. 2020 წელს სოფელ აქუცის ქვედა უბანში მისასვლელ გზაზე საავტომობილო ხიდი მოეწყო, რომელიც ადგილობრივ ბიუჯეტს დაახლოებით 1 000 000-მდე ლარი დაუჯდა. ხიდის მოწყობის მიუხედავად ბოლომდე არ არის ათვისებული ის სიკეთე, რომელი სიკეთეც რეალურად ამ ხიდს შეუძლია მოიტანოს იქ მყოფი ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის, კერძოდ, აქუცა-ვაიოს დამაკავშირებელი გზა არის მოუწესრიგებელი და საჭიროებს რეაბილიტაციას. გამართული საგზაო იფრასტრუქტურის პირობებში ადგილობრივებს გაუჩნდებათ ალტერნატიული გზა, რომელი გზითაც ერთდროულად რამდენიმე სოფელი (ვაიო, კვაშტა, სირაბიძეები) ისარგებლებს. ამასთან, ახლოს მდებარე სოფლებში არის ტურისტული მნიშვნელობის ობიექტები და მათთვის მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა იქნება დამატებითი შესაძლებლობა როგორც შემოსავლების გაზრდის, ასევე ადგილობრივების დასაქმების მხრივ.

2. სასმელი თუ სარწყავი წყლის პრობლემა მუნიციპალიტეტში კვლავ აქტუალურია და ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. სოფელ სირაბიძეებში ადგილობრივი მოსახლეობა წლებია რაც სასმელ წყალთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას ითხოვს, კერძოდ, ზაფხულში იკლებს წყლის რაოდენობა და საჭიროა დებეტის გაზრდა. აღსაღნიშნავია, რომ სოფლის საკუთრებაში არის ტერიტორია, საიდანაც იქნება შესაძლებელი მოხდეს წყლის დებეტის გაზრდა, რითაც საბოლოოდ მოგვარდება ამ სოფელში სასმელ წყალთან

დაკავშირებული პრობლემები. სასმელ წყალთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას ითხოვს სოფელ ვაიოს მოსახლეობაც, აქაც წლებია სოფელში მაცხოვრებლებს ექმნებათ პრობლემა სასმელ წყალთან დაკავშირებით. სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებას ითხოვს აგრეთვე სოფელ პირველი მაისის მოსახლეობაც.

3. საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაციას ითხოვენ ადგილობრივი მაცხოვრებლები სოფელ ზვარეში, სოფელ დანდალოში და სოფელ გეგელიძეებში.

4. სოფლის კლუბის რეაბილიტაციას ითხოვენ მოქალაქეები სოფელ ვაიოში, სოფელ ახოში, სოფელ ჯალაბაშვილებში, სოფელ კოკოტაურში. ამასთან, სოფელ კვაშტაში წლებია რაც ადგილობრივები სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაციას მოითხოვენ.

5. ე.წ „ფესოტანას" ბილიკის მოწყობას ითხოვენ ადგილობრივები სოფელ დანდალოში, აგრეთვე, სოფლის ცენტრის კეთილმოწყობას ითხოვენ სოფელ აგარაში მყოფი მაცხოვრებლები.

6. მემორიალური დაფის რეაბილიტაციას ითხოვენ ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების მაცხოვრებლები ზვარის ცენტრში.

7. სოფელ ვარჯანისში ბადრი დიასამიძის სალხთან ახლოს გამავალი სოფლის გზა დაზიანებულია, რაც სიცოცხლისთვის საშიშ პირობებს ქმნის როგორც ოჯახისთვის, აგრეთვე ამ გზაზე გადაადგილებული ადამიანებისთვის. აუცილებელია, რომ გზაზე მოეწყოს დამცავი კედელი, რათა თავიდან იქნას აცილებული სავალალო შედეგები. დამცავი კედლის მოწყობას ითხოვს სოფელ ვარჯანისში მხოვრები ფატი ბერიძეც, რადგან სახლთან ახლოს არის სერიოზული რისკი მეწყრული პროცესების განვითარების. მეწყრული პროცესების განვითარების და სიცოცხლისთვის საშიში პირობების გამო დამცავი კედლის მოწყობას ითხოვს სოფელ ვაიოში მცხოვრები ლევან ტეტემაძეც.

კომისიის თავჯმდომარემ განუმარტა, რომ თითოეული დასახელებული პრობლემა ნამდვილად გასათვალისწინებელია. რამდენიმე საკითხი გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ბიუჯეტში და ზოგი ეტაპობრივად მოგვარდება.

შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს განუმარტა, რომ შემხვედრი გარემოებებიდან გამომდინარე ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანია რამდენიმე ცვლილება და ისუბრა თითოეული ცვლილების აუცილებლობაზე.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ფორმირების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - გიორგი მგზავრიძემ - განმარტებით, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტთან მიმართებაში მიზანშეწონილია განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი

№	პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	თანხა -/+	შენიშვნა
1		ბანკის პროცენტი	**72 500**	

		ნაშთიდან მოსესხება	322 090	
2		სპეციალური დანიშნულების ტრანსფერი (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	750 000	
4	02 03 03 01	დაბა ქედაში რუსთაველის ქ. № 13 და № 15-ს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.	201 000	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
5	02 02 01 01	ქედის მუნიციპალიტეტეის სოფელ დოლოგანში სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა	18 900	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
6	02 02 01 02	დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ორცვაში არსებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	7 800	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
7	05 04 01	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში არსებული კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტის სამუშაოების შესყიდვა	190 000	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
8	05 01 04 02	სოფელ კვაშტაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა	51 200	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
9	05 01 04 01	სოფელ ზედა მახუნცეთში მინი სპორტული მოედნის მოწყობა	33 100	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
10	05 01 04 03	დაბა ქედაში აბუსერიძის ქუჩის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის მოწყობა	60 300	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
11	02 01 02	სამრეწველო გზაზე გზის საფარის მოწყობა	12 100	დაზუსტდა ღონისძიების ღირებულება
ჯამი			1 718 990	
№	პროგრამული კოდი	ასიგნებების დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა

2	05 02 01	ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრი	**8 650**	საქონელი და მომსახურება (ექსპო ბათუმი) 3800, ფოლკლორის ფესტივალი 3000 ლარი, ფართო გამოყენების კიბე 1850 ლარი (არაფინანსური აქტივი)
3	01 02 01	სარეზერვო ფონდი	**50 000**	(10 000 ლარი დამატებულია 5%-იანი გადატანით მერიიდან)
4	05 01 01	ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლა	**19 000**	17500 არაფინანსური აქტივი (საჭიდაო ლეიბი), მუხლიდან მუხლში 1530 ლარი (შრომის ანაზღაურებიდან სოციალურში), საქონელი და მომსახურება 1500 ლარი
5	02 04 03	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა	**30 000**	
6	01 02 04	მგფ-დან მიღებული სესხის პროცენტი	**8 000**	
7	01 02 05	ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასახმარების სოციალური პროგრამები	**6 740**	
8	06 01 01	ამბულატორიული მომსახურება	**6 600**	
9	01 02 02	მონაწილეობითი ბიუჯეტი	**0**	მუხლიდან მუხლში (სხვა ტრანსფერიდან საქონელი და მომსახურებაში 45000 ლარი)
10	01 01 02	მერია	**10 000**	(10 000 ლარი შევსება 5%-იანი გადატანიდან), მუხლიდან მუხლში შრომის ანაზღაურებიდან სოციალურში 6820 ლარი)

11	04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	0	მუხლიდან მუხლში (შრომისანაზღაურებიდან სოციალურში 2000 ლარი)
12	06 02 02	ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	5 500	მუხლიდან მუხლში (არაფინანსურიდან სოციალურში 1000 ლარი)
13	02 03 01 04	დაბა ქედაში 26 მაისის ქუჩა № 2-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია	6 800	
14	02 02 01 07	სოფელ კუჭულაში სასმელი წყლის გამანაწილებელი ავზის მოწყობა	6 800	
15	05 04 03	სოფელ მერისის კულტურის სახლის რემონტი	7 400	
16	06 02 09	ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამა	45 300	
17	05 04 02	სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმისათვის ინვენტარის შეძენა	15 000	485 ლარი არაფინანსურიდან საქონელში
18	02 03 01 06	სოფელ გარეტყეში სოფლის სახლის მშენებლობა	50 000	
19	02 02 01 08	სოფელ ახოში არსებული საპირეშოსათვის სეპტიკის მოწყობა	28 000	
20	02 03 03 05	დაბა ქედაში 9 აპრილის მემორიალის რემონტი	9 000	
21	06 02 06	ჰემოდიალეზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა	4 000	
22	06 02 07	სამედიცინო და სოციალური რებილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა	10 000	
23	06 02 11	0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება	3 600	ახალი პროგრამა

24	03 01 01	შპს ,,კომუნალურსერვისი"	14 200	სუბსიდია 10200 ლარი, კაპიტალური ხარჯი 4000 ლარი
25	02 08	შპს ,,ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"	20 500	სუბსიდია 20500 ლარი, მუხლიდან მუხლში (სუბსიდიიდან კაპიტალურ ტრანსფერში 9200 ლარი)
26	05 01 03 02	შპს ,,სარაგბო კლუბი ფირალები"	16 700	სუბსიდია (შრომა 6820 ლარი, შტატგ. 6240 ლარი, საპენსიო 150 ლარი, საწვავი 2880 ლარი, კომპ ტექნ 610), მუხლიდან მუხლში (სუბსიდიიდან კაპიტალურ ტრანსფერში 2200 ლარი)
27	05 01 03 01	საფეხბურთო კლუბი ბეთლემი	10 000	სპორტული ინვენტარის შეძენა
28	05 02 02	ააიპ ქედის სახელოვნებო სკოლა სახელოვნებო სკოლა	2 800	დასარტყამი ინსტრუმენტების (დრამი და ჯემბე) შემსწავლელი პედაგოგის ანაზღაურება 21 კვირეული საათი (საქონელი და მომსახურება)
29	02 03 01 05	სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმის რეაბილიტაცია	79 100	
30	06 01 08	სოფელ დოლოგანში ადმინისტრაციული შენობისა და ამბულატორიის რეაბილიტაცია	17 300	
31	06 01 08 01	პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია	58 000	
32	06 01 08 02	ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია	55 000	
33	02 03 01 02	დაბა ქედაში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა	300 000	

34	02 03 03 05	ცხმორისის სასაფლაოს შემოღობვა	65 000	
35	02 09	სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	750 000	
ასიგნებების ჯამი			1 718 990	X
ს ხ ვ ა ო ბ ა			0	X

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 16:30 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ამირან წულუკიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში ციური ზაქარაძე